„თქმა“ და „ქმნა“ მნიშვნელობათა შეთავსება სხვა ენათათვისაც არის დამახასიათებელი. შეიძლება დავასახელოთ უდიური, სადაც „ფესუნ“ ნიშნავს როგორც „თქმას“, ისე „ქმნას“ ([4], გვ. 232). ლათინურ აფი ზმნას სხვა მნიშვნელობათა შორის აქვს როგორც თქმის, ისე კეთების მნიშვნელობები.

ქანური ღოდ- ზმნური ძირის ზუსტი ფონემური შესატყვისია, ჩვენი აზრით, ქართული ღად-, რომელიც ღაღად- (ღაღად-ყო, ღაღად-ებ-ა, ღაღად-ის-ი...) კომპოზიტში შედის. ღაღად- მიღებულია მარტივი ღად- ძირის რედუპლიკაციით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულში იშვიათად ღად-ძირი ცალკეც იჩენს თავს: და ვღადებდე და ვეტყებდე თავსა ჩემსა (პარხლ. მრავალთ. (X ს.), 276r, 9—10b).

ამრიგად, მეგრული ღოდ- ძირის ქართული შესატყვისია ღად-, ქანური ღოდ-ისა კი ქართული ღად-. მნიშვნელობის გადაწევა ქანურსა და მეგრულში მეორეული და ადვილად ასახსნელია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

(შემოვიღა 10.10.1975)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

З. А. САРДЖВЕЛАДЗЕ

ГРУЗИНСКИЕ СООТВЕТСТВИЯ ДВУХ ЗАНСКИХ ГЛАГОЛЬНЫХ КОРНЕЙ

Резюме

В научной литературе чанское **ღოდ- ჯოდ-** «делать» и мегрельское **ღოდ- ჯოდ-** считаются вариантами одного и того же корня, полученными в результате чередования согласных **ღ l** и **დ d** ([1], стр. 349). Однако альтернатива этих согласных чужда картвельским языкам.

Нами предпринята попытка выявить в грузинском закономерно соответствующие формы этих занских корней. Грузинским соответствием мегрельского корня **ღოდ- ჯოდ-** (ქო-ღოდ-უ ko- ჯოდ-უ «сделал») считается грузинское (და-ი-ღად-ა da-i-ღal-a «устал»), а чанскому **ღოდ- ჯოდ-** (ქო-ღოდ-უ ko-ჯოდ-უ «сделал», ო-ღოდ-უ o-ჯოდ-უ «сказал») в грузинском соответствует **ღად- ჯად-** (ср.: ღად-ებ-ა-ა ჯად-ებ-ა-ა-j «кричать», ღაღად-ყო ჯაღად-ყო «возопил» и др.).

В мегрельском и чанском глагольные корни **ღოდ- ჯოდ-** и **ღოდ- ჯოდ-** сохранились с изменением исконного значения.

LINGUISTICS

Z. A. SARJVELADZE

GEORGIAN CORRESPONDENCES OF TWO ZAN VERBAL ROOTS

Summary

In special literature Čan ჯოდ- 'do' and Megrel ჯოდ- 'do' are considered variants of the same root, obtained via interchange of the consonants **l** and **d** ([1], p. 349). However, an interchange of these consonants is unknown to Kartvelian languages.

In the article an attempt is made to reveal regular correspondences of these Zan roots in Georgian.



The Georgian correspondence of the Megrel root *γol-* (*ko-γol-u* 'did') is *γal-* (*daiγala* 'is tired'), whereas the Čan *γod-* (*koγodu* 'did', *oγodu* 'said') corresponds to Georg. *γad-* (Old Georg. *γadeba* 'to cry', *γaγad-გო* 'cried').

In Megrel and Čan the verbal roots *γal-* and *γad-* are preserved with a change of their original meaning.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. არნ. ჩიქობავა. ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. ტფილისი, 1936.
2. ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973.
3. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბილისი, 1965.
4. ე.ე.გ. ჭეიშარიანი. უდიური ენა. თბილისი, 1971.



მ. მაჩხაძელი

ბერძნულ ენაზე შემნილი იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების „ცხოვრება“

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. მეტრეველმა 7.10.1975)

ამას წინათ პარიზის ტექსტთა კვლევისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, ბ-მა გლენისონმა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს, სხვა მასალებთან ერთად, გამოუგზავნა ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი ხელნაწერის — ბერძნულ ენაზე შექმნილი იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების „ცხოვრების“ მიკროფილმი.

ეს თხზულება, რომელიც უთუოდ ერთ-ერთი საინტერესო წყაროა დიდ ქართველ ათონელთა ბიოგრაფიის დაზუსტებისა და შევსებისათვის, ათონის ივერთა მონასტრის წიგნთსაცავში ინახება. მისი სრული სათაურია: „Βίος και πολιτεία τῶν ἁγίων καὶ θεοφόρων πατέρων ἡμῶν Ἰωάννου, Ἐκθιμίου καὶ Γεωργίου, τῶν χειρόρων τῆς κατ' ἡμᾶς ἐκκλησίας μαρτύρου καὶ ἱερέως“ („ცხოვრება და მოქალაქეობა ჩვენი ნეტარი და ღმერთშემოსილი მამების იოანესი, ეფთვიმესი და გიორგისა, რომლებიც იყვნენ ჩვენი წმინდა და უდიდესი ივერთა ლავრის მამუნებლები“).

„Βίος και πολιτεία“-ს არსებობა კარგა ხანია ცნობილი იყო მეცნიერთათვის. ჯერ კიდევ არქიმანდრიტი პ. უსპენსკი ასახელებს მთაწმიდელი ქართველი მოღვაწეების ბერძნულ ენაზე შექმნილ „ცხოვრებას“ თავის „ათონის ისტორიაში“ და სარგებლობს მისი ცნობებით. [1]. ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარს ამ ნაწარმოებისათვის შეიძლება მიეკვლია სპ. ლამბროსის ათონის მთის ბერძნულ ხელნაწერთა ცნობილი კატალოგითაც (№ 4573) [2].

აღსანიშნავია, რომ „Βίος και πολιτεία“ არ წარმოადგენს გიორგი მთაწმიდლის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ თარგმანს, იგი არის არა „ქართულიდან თარგმნილი ბიზანტიური აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლი“, როგორც ეს აღნიშნულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ ორიგინალური ბერძნული თხზულება.

მთაწმიდელთა „ცხოვრება“, შექმნილი ბერძნულ ენაზე, მოიცავს ხელნაწერის 40 გვერდს. შესრულებულია დახვეწილი, კალიგრაფიული ხელით, გადაწერილია 1758 წელს. უფრო გვიან, სავარაუდოა, XIX საუკუნეში, ტექსტი ვილაცას უსწორებია, რაზეც მეტყველებს მინაწერი 3რ-ზე (ერთადერთი მინაწერი ტექსტისა) და რამდენიმე ჩასწორება თვით ტექსტში. მთელი პალეოგრაფიული სირთულე გამოიხატება ლიგატურებისა და ქარაგმების ხშირ ხმარებაში.

ნაწარმოები დაწერილია ახალ ბერძნულ ენაზე, კერძოდ, კათარეუსაზე და ატარებს ამ ენისათვის დამახასიათებელ თვისებებს — არქაულ სტილსა და ხელოვნურობას.

თხზულება 3 ნაწილისაგან შედგება: 1—იოანეს ცხოვრება (4—13რ); 2—ექვთიმეს ცხოვრება (13—38რ); 3—გიორგის ცხოვრება (38—39რ). წინ უძღვის გადაწერის ანდერძი და პრილოგი, ბოლოს — პატარა დასკვნა.

ანდერძი: ‘Ο παρών διεγχεματικὸς βίος τῶν ἁείων ἡμῶν πατέρων Ἰωάννου, Εὐθυμίου καὶ Γεωργίου, ἐκἀλληγγραφίῃ παρὰ ἀνέρος σαμίου Κοσμά μοναχῶν, ἐξ οὗ ἀφιερώθη εἰς τὸ μέγα καθολικὸν τῆς ἱερᾶς ταύτης εὐαγῶν καύρας τῶν Ἰβήρων, εἰς ἄφεισιν ἀμαρτιῶν αὐτῶν, καὶ εἰς μνημόσυον αἰώνιον τῆς ψυχῆς αὐτῶν. α ψ ν η, φερουσαρίου ι θ.

„ეს მოთხრობა ჩვენი ნეტარი მამების — იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის ცხოვრების შესახებ გადაწერილია სამოსელი კაცის, ბერი კონსტანტინის მიერ, რომელმაც შესწორა იგი ქართველთა ამ წმინდა მონასტრის დიდ ლავრას ცოდვების მიტევებისა და მისი სულის მარადიული ხსოვნისათვის. 1758 წლის 19 თებერვალი“ (1v).

როგორც ვხედავთ, ანდერძი შუქს ფენს რამდენიმე საკითხს: თხზულება გადაწერია ვიღაც სამოსელ ბერ კონსტანტინის 1758 წელს, გადაწერის ადგილია ივერიის ქართველთა მონასტერი (ანდერძის „ქართველთა ეს მონასტერი...“ სწორედ ამას უხდა გულისხმობდეს).

შესავალი არაფრით განსხვავდება აგიოგრაფიული ნაწარმოებებისათვის საერთოდ დამახასიათებელი პროლოგებისაგან, მაგრამ, ამ ზოგადობის მიუხედავად, რამდენიმე კუთხითაა საყურადღებო: აქ ლაპარაკია „ცხოვრების“ დაწერის მიზეზსა და მიზანზე, ავტორის შემოქმედებით მეთოდზე და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ნაშრომის წყაროებზე — ქართულსა და ბერძნულზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ავტორს თავისი შრომისათვის გამთუყვნებია ათონელი ბიოგრაფიის ისეთი სანდო წყაროები, როგორცაა მათი თანადროული ბერძნული დოკუმენტები და გიორგი ათონელის „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“.

წინამდებარე სტატიაში, რომელიც წარმოადგენს წინასწარ ცნობას თხზულების შესახებ, დავკმაყოფილებით ათონელთა ქართული ბიოგრაფიისათვის უცნობი რამდენიმე ფაქტის მხოლოდ ჩამოთვლით, რომელთაგან თითოეული სპეციალური ფილოლოგიური და ისტორიული კვლევის ღირსია:

1. იოანე იბერი იყო სამეფო გვარის წარმომადგენელი (ἐκ γένους βασιλικῶν). გ. მთაწმიდელის თქმით კი, იოანე იყო „მშობელთა და პაპათაფთვან დიდებულთა და წარჩინებულთა დასაჩინობა მთავართა შორის დავით კურაპალატისათა...“ ფრიად საყურადღებო და საკუთარი კეთილ ქსენებულისა დავით კურაპალატი-საჲ“ [3].

2. ბერად შედგომამდე იოანე ქართველთა მეფის სვინგელოზი და პროტოსიმბულატორი ყოფილა, რაც ქართველებში დიდ პატივად ითვლება და ეძლევა მხოლოდ ღირსეულთ (4r).

3. მას შემდეგ, რაც იოანემ „აღიღო ჯუარი“, მივიდა იგი ერთ მონასტერში, რომელიც მისი სამშობლოს ახლოს მდებარეობდა და რომელშიც ექვსი ბერი ცხოვრობდა. აქ მიიღო მან კურთხევა (5v). ამ მონასტრიდან იოანე გადასულა კოლპის მთაზე მდებარე მონასტერში, მხოლოდ ამის შემდეგ — უღუმბოს მთაზე.

4. ათანასე ათონელის ლავრიდან წამოსვლის შემდეგ იოანემ აღმართა საკუთარი ლავრა იმ ადგილას, სადაც წინათ წმ. კლიმენტოსის პატარა კელიებიანი ეკლესია იყო პროდრომოსის სახელობისა და რომელიც ჯერ კიდევ კონსტანტინე დიდს ეკუთვნოდა (8r).

5. „იოანეს ცხოვრებაში“ ჩართულია ათანასე ლავრელის 984 წლის ცნობილი ხრისობული იოანე იბერისადმი, ე. წ. „ათანასეს ანდერძი“, რომელიც ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს ლავრისა და ივერთა მონასტრის ისტორიისათვის. ანდერძში ლაპარაკია იმ წყალობებზე, რომელიც ამა თუ იმ იმპერატორს უბოძებია იოანესათვის (8—12r).

6. იოანეს თავისი შვილი ეფთვიმე კონსტანტინეპოლში ჩამოსვლისთანავე მიუბარებია „ბერძნულ მეცნიერებათა სკოლაში“ (ეის σχολείον ἑλλητικῶν μαθημάτων — 19r). იოანე მხოლოდ მას შემდეგ აპირებდა ექვთიმეს ათონზე

გადაყვანას, როცა იგი სამეფო ქალაქში ყველაფერს შეისწავლიდა, ე. ი. ექვთიმეს კონსტანტინეპოლში მიუღია განათლება.

ასეთი რიგის ფაქტების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ. მათი გააზრება და, განსაკუთრებით, მთელი თხზულების ზუსტი თარგმანი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგიერთი წინასწარი დასკვნა:

„Βίος καὶ πάσιαια“ დაწერილია XVI—XVII საუკუნეებში, როცა ივერონში ქართული ელემენტი ფაქტიურად აღარ არსებობს და არავითარ შემთხვევაში — ამაზე უფრო ადრე.

„ცხოვრების“ მესამე პერსონაჟი, გიორგი, ქართველთა მონასტრის ქტიტორად რომ იწოდება ნაწარმოებში, არის გიორგი-ვარაზეაჩე და არა გიორგი მოაწმიდელი, რომელიც ჩვეულებრივ იგულისხმება ხოლმე დიდ ქართველ ათონელთა სამეულის მესამე წარმომადგენლად.

ნაწარმოები განკუთვნილია ბერძნული მრეელისათვის და, ამგვარად, ბერძნული ტენდენციის მატარებელია.

მოაწმიდელთა ეს „ცხოვრება“ უნდა დასდებოდა საფუძვლად „ათონური პატერიკის“ ერთ ნაწილს.

ხერხდება თხზულების გადამწერის, სამოსელი კოზმანის იდენტიფიკაცია პატმოსური ხელნაწერის — „იანვრის თვენი“ გადამწერთან [4].

კვლევის შედეგად გამოვლინდა ჩვენი თხზულების კიდევ ორი ნუსხა: პირველი დაცული ყოფილა 1857 წელს ათენში გამოხუთვნილი ივერთა მონასტრის პროსკინეტარიონში [5], ხოლო მეორე — ე. წ. ვატიკანის კოდექსში (№ 2613) [6]. შემდგომში სრული ტექსტოლოგიური ანალიზისათვის საჭირო იქნება მათი შედარება ათონურ ნუსხასთან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ბ. კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

(შემოვიდა 9.10.1975)

ФИЛОЛОГИЯ

М. З. МАЧХАНЕЛИ

«ЖИТИЕ» ИОАННА, ЕВФИМИЯ И ГЕОРГИЯ СВЯТОГОРЦЕВ,
СОЗДАННОЕ НА ГРЕЧЕСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В статье дается краткая информация о «Житии» Иоанна, Евфимия и Георгия Святогорцев, созданном на греческом языке. Данное сочинение до сих пор не исследовано, а в нем содержится интересный материал для дополнения и уточнения биографий грузинских афонцев.

PHILOLOGY

M. Z. MACHKANELI

THE LIFE OF JOHN, EUTHYMIUS AND GEORGE THE HAGIORITES
COMPOSED IN GREEK

Summary

The paper presents brief information about the *Life* of John, Euthymius and George the Hagiorites. The *Life* written in Greek, has not been studied hitherto. The work contains much interesting material for supplementing and specifying the biographies of the Georgian Hagiorites.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Пор. Успенский. Восток христианский, История Афона, ч. III, Афон монашеский. Киев, 1877.
2. Catalogue of the Greek Manuscripts on Mount Athos, by Spyr. P. Lambros. Cambridge, vol. I, 1895.
3. ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, თბილისი, 1967.
4. A. D. Komines. Facsimiles of Dated Patmian Codices. Athens, 1970.
5. Προσκλητήριον τῶν βασιλικῶν μοναστηρίων τῆς Ἱβήρας. Athenis, 1857.
6. F. Halkin. Auctarium BHG, Bruxelles, 1963; E:thymius, Ioannes et Georgius Iberi. Cod. Vatic. 2613 saec. XVII.

УДК 93(352)

ისტორია

თ. ბარამაძე

სასოფლო თემი იმერეთის სამეფოში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა 20.10.1975)

იმერეთის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილების ძირეულ რგოლს წარმოადგენდა სასოფლო-სამეზობლო თემი, რომელიც შესაბამის ისტორიულ დოკუმენტებში ჩვეულებრივ თემის სახელითაა მოხსენებული. ეს ტერიტორია ქართულში ბერძნულიდანაა შემოსული და ჩვენს ენაში რამდენიმე მხიშველობა მოეპოვება. ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით „თემი“ დასავლურ-ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში XIII ს. უკანასკნელი მეოთხედიდანაა დამოწმებული. ამ სიტყვამ თანდათანობით შეცვალა ტერიტორია „ხევი“, რომელიც იმერეთის სამეფოში ხმარებიდან საბოლოოდ XVIII ს. დასაწყისისათვის გამოვიდა.

გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტებში თემი იმერეთის სამეფოს თითქმის ყველა კუთხეშია დამოწმებული, მოხსენიებულია ოყურაღის, ნაყურაღის, ლახეფის, აღვის, ცხუტყურის და უსახელოს თემები — ლეჩხუმში; საწირესი და ახალსოფლის თემები — ოკრიბაში; მალაკის, მათხოჯის, ხონის, გეგუთის თემები — ვაკე იმერეთში; აჭარის, ილემის, ზესტაფონის, თვინის თემები — ზემო მხარეში და სხვ.

თემი ორგანიზაციულად ეკლესიასთან იყო დაკავშირებული. ყველა თემს თავისი საკუთარი „თემის ხატი“ გააჩნდა, რომლის სახელობის საყდარი ამ თემის წევრების ერთგვარ პატრონს წარმოადგენდა. თემის წევრი იყო ასეთ საყდარში შემავალი ყველა დამოკიდებული ადამიანი, განურჩევლად იმისა, ვის ყმა-გლეხს წარმოადგენდა იგი. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია 1745 წ. დათარიღებული ალექსანდრე V იმერთა მეფის ერთი სიგელი, სადაც მეფე მიმართავს „მალაკის მაცხოვარის საყდრის შემავალს თემს დიდსა და მცირეს, ხატისკაცს, სათავადოსა და სახანაუროშვილისა და ყოველთავე“ [1].

ამ მხრივ გვიანფეოდალური თემი განსხვავდებოდა შუაფეოდალური თემი//ხევისაგან, რომელშიც რიგით მეფემეტა გარდა აზნაურებიც შედიოდნენ.

თემის გამგებლობა სასულიერო ხასიათს ატარებდა და „თემის უფროსად“ ჩვეულებრივ იმ საყდრის დეკანოზი ითვლებოდა, რომლის მრევლსაც ეს თემი შეადგენდა. ეს კარგად ჩანს 1563—1564 წწ. დათარიღებული გიორგი იმერთა მეფის წყალობის წიგნში კლდიაშვილებისადმი: „გიბოძეთ სვიმონეთს საყდარი და სასაფლაო... იმ საყდრის დეკანოზათ დაგაყენე და თემის უმფროსობა გიბოძეთ და ერისგან მოხელეობა“ [2]. თუ სათემო ეკლესიას ხუცესი განაგებდა, მას „თემის ხუცესი“ ეწოდებოდა და თემის უფროსადაც ის ითვლებოდა. ამათ გარდა თემს სავანეგებო მოხელე-ხელოსანი გააჩნდა.

თემი ჩვეულებრივ საეკლესიო დღეობებზე იყრიდა თავს. თემის ხატის დღეობა კი ამ თემის მთავარ დღეობას წარმოადგენდა, რომელსაც თემობა ეწოდებოდა. ხშირად ესა თუ ის მეფე თუ ფეოდალი საეკლესიო შეწირულების ერთ ნაწილს თემის სასარგებლოდ გადაკვეთავდა და თემს თავს დაალოცვინებდა, ან კიდევ სიკვდილის შემდეგ შენდობას ათქმევინებდა. ამიტომ თემის რომელიმე წევრს თავის მებატონისაგან გარკვეული ბეგარა ედო, რათა ამა თუ იმ საეკლესიო დღეობაზე ვინც დაესწრებოდა „თემის კაცი ან სტუმარი“, ყველას გამასპინძლებოდა. თემის წევრს თავისი თემის წინაშე გარკვეული ვალდებულებები ჰქონდა დაკისრებული, რომელსაც „სათემო საქმე“ ეწოდებოდა; 15. „მოამბე“, ტ. 81, № 1, 1976

ეტყოდა ასეთი მოვალეობისაგან თემის წევრის განთავისუფლება არ ხერხდებოდა; XVII ს. დასაწყისის ერთი შეწირულების წიგნში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ახლად შეწირულ შვიდ კომლ ყმა-გლეხს „რა როგორც სხვა საკათალიკოზო მამული, ისრა კათალიკოზი იხმარებოდეს და იმ კაცებს არა ეთხოვებოდეს რა საკათალიკოზოს გარეთ სხვის კაცისაგან სათემოს საქმის მეტი“ [3].

თემის ერთ-ერთ მთავარ ვალდებულებას, როგორც ირკვევა, თემის წევრების კოლექტიური პასუხისმგებლობა წარმოადგენდა გარკვეული სამეფო თუ საეკლესიო ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებში შემორჩენილია რამდენიმე დოკუმენტი, სადაც „ერთობითი თემი“ კოლექტიურ პირობას დებს ამა თუ იმ ვადასახადის გადახდის შესახებ. ამ დოკუმენტებში განსაკუთრებით საინტერესოა პირობის წიგნი, რომელიც „მათხოჯის წმიდის ბასილის ეკლესიის მათხოჯელმა თემის კაცმა ერთობით დევანოზმა ხელოსანმა და სრულიად ხალხმა“, მიართვა ხონის მთავარეპისკოპოსს იოანეს: „...მობრძანდით ჩვენს ქვეყანას და სამწყყესელათ და სასჯელთ და რომელიც თქვენის ეკლესიის მახლობელს სოფლებს... ემართა... ისე თითო კეხი დომი დაგვადევი მესამეს წელიწადს და ასე პირობა მივართვით ერთობით, რომე რომელიც შეგვეძლოს შენი ეკლესიის სამსახური და მისი მღვდელმთავრის სამსახური არ ვიუაროთ, არც კირის დაწვა, არც სხვა რამე...“ [4].

ისტორიულ საბუთებში რამდენჯერმეა დამოწმებული „სათემო გზა“ ან კიდევ „სათემო შარა“, „სასვიმანეთო შარა“ იქნება თუ „საგოლოგნო“. როგორც ჩანს, თემის წევრებს გზის, განსაკუთრებით სახელმწიფო მნიშვნელობის გზის მოვლა-პატრონობა ევალებოდათ, ასე რომ თემს საგზაო ბეგარა ედო.

თემის, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოვალეობას, როგორც ჩანს, საეკლესიო ნაგებობათა ერთი ჯგუფის (თემის ეკლესიების) აგება თუ მოვლა-პატრონობა წარმოადგენდა. მხოლოდ საეკლესიო მშენებლობაში თემის მონაწილეობით შეიძლება აიხსნას ერთი მეტად უცნაური ფაქტი, დასავლეთ საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ფრესკულ ფერწერაში: ზოგჯერ ეკლესიის კედლებზე ყმა-გლეხურ გვართა წარმომადგენლები არიან გამოხატულნი. ამასვე მოწმობს XIX საუკუნის პირველ მეოთხედში შედგენილი ვაკე იმერეთის ერთი ნაწილის ეკლესიების ნუსხა, რომლის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ამ მხარეში, გვიანფეოდალურ ხანაში, სასოფლო ეკლესიების დიდი ნაწილი ამ ეკლესიის მრევლის, ე. ი. თემის მიერაა აგებული. უნდა ვიფიქროთ, რომ თემის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას სახელმწიფო ციხეთა აგება თუ მის მოვლა-პატრონობა შეადგენდა.

მოვალეობათა გვერდით თემს თავისი უფლებები გააჩნდა და ზოგ კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეული პრივილეგიებიც.

თემი, ჩვეულებრივ, იურიდიული პირის სტატუსით სარგებლობდა. გვიანფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიულ დოკუმენტებში ერთობითი თემი დამოწმებულია როგორც მოწმე მესობელი თემის პირობის წიგნში საეკლესიო თუ საერო ხელისუფლებისადმი ან კიდევ ყმა-გლეხის ნასყიდობის სიგელში. თემს ფულის სესხების უფლებაც ჰქონდა და ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ის სათემო ეკლესიის კუთვნილი ყმა-მამულით აგებდა პასუხს.

თემი, როგორც ჩანს, ზრუნავდა თავის წევრზე — ზოგჯერ ტყვედგაყიდულს გამოისყიდდა კიდევ. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ერთ დოკუმენტს, რომელიც XVIII ს. მეორე ნახევარში უნდა იყოს შედგენილი: „ის წიგნი სანაცვლებო მოგეცით მე იაშვილმა ბიძაშენმა ცაგერელმან მამისეიშვილმა ნასხილამ შენ იაშვილს ლევანს, ასე რომ კუთხისშვილი კაცი გაყიდა ნევემ. ჩვენ ოდიში დადიანთან ვიყავით გადავარდნილი. მერმე მოაღდა თემი ნევეს ალექსანდრეს შეეხვეწენ მის დღემში არ გავყიდულვართო და დაგვიხსენიო. მეფეს თეთრი არ დაესწრა, ვერ ამოიყვანა, გარდავიხადეთ თემმა და ჩვენს მეფეს დავასწენინეთ ას მორჩილათ“ [5].

თემი, როგორც იურიდიული პირი, სამეფო კარზე მარტო თხოვნის გადასაცემად კი არ წარსდგებოდა, მას სრული უფლება ჰქონდა მეფესთან ეჩივლა ანა თუ იმ მეზობლისათვის, სამართლიანად ფლობს თუ არა იგი ამ თემის წევრ ყმა-გლეხს. 1777 წ. დათარიღებულ სოლომონ I წყალობის ერთ სიგელში ვკითხვართ: წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ ბატონმა მეფეთ მეფემან სოლომონ შენ მიქაბერიძეს სიმონის და დავითს... ნამოხვანელი თემი და ოსუნელელი თემი გედაეებოდა გლეხებს ხაჭაპურიძეს კაცობა და სიხარულს და უმცროსი მათის ცოლშვილით, ასე რომე მოდექით ჩვენს კარზე, ისამართლეთ, სამართალი ვაგინდათ, თემმა სამართალი ვეღარ შეგიძლოთ და თქვენ დაგრჩათ ის გლეხები სამართალით და ჩვენც გიბოძეთ“ [6].

როგორც ირკვევა, თემს მეფის სასამართლოში ფეოდალისათვის მიწაზეც შეეძლო ეჩივლა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა სამი ისტორიული საბუთი, რომელიც თავადი აგიაშვილებისა და ახალსოფლელი თემის სამართლო საქმეს შეეხება. სამივე ეს საბუთი 1791 წელს უნდა იყოს შედგენილი. საწირისა და ახალსოფლის თემს აგიაშვილისათვის მეფესთან უჩივლია, რომ ეს უკანასკნელი მათ მიწას უკანონოდ ფლობს. მეფემ საქმის გადასაწყვეტად „დავით ჩხეიძე ბოქაულათ“ გამოყო, რომელიც ადგილზე შეუდგა სიმართლის დადგენას. აგიაშვილის „სამნებზე მოფიცარი“ აღმოაჩინდა ას ოცი კაცი, ხოლო თემმა ვეღარ დაიფიცა და სადავო ტერიტორია კვლავ თავადს დარჩა. საქმის წაგების შემდეგ ახალსოფლისა და საწირეს თემებმა აგიაშვილისაგან სადავო ტერიტორიის დამუშავების უფლება ითხოვეს „მოდის“ გადახდის პირობით [7].

თემური მიწათმფლობელობის შესახებ გვიანფეოდალური ხანის იმერეთის სამეფოს დოკუმენტებში ჭერჭერობით რაიმე ცნობას ვერ მივაკვლიეთ. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი სასამართლო საქმე მოწმობს, რომ თემს შეიძლებოდა თავისი კუთვნილი სახნავი მიწის (სადავო ტერიტორია, როგორც დადგინდა, დაახლოებით ას ჰექტარამდე ფართობის სახნავს წარმოადგენს) ფონდი ჰქონოდა, რომელიც გარკვეული წესით განაწილდებოდა რიგით მეთემეებს შორის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 23.10.1975)

ИСТОРИЯ

Т. Н. БERAДЗЕ

СЕЛЬСКАЯ ОБЩИНА В ИМЕРЕТИНСКОМ ЦАРСТВЕ

Резюме

В Имеретинском царстве существовала сельская община, которая составляла низшее звено административно-территориального деления. Каждая община имела собственную икону, вокруг церкви которой она была объединена. В общину входило все крепостное население данной местности. Члены общины несли коллективную ответственность за некоторые государственные и церковные подати. Они должны были ухаживать за церковью, за дорогами своей общины. Сельская община имела статус юридического лица, она могла выступать на суде, брать займы. Она могла иметь и свою общинную землю.

T. N. BERADZE

VILLAGE COMMUNE IN THE KINGDOM OF IMERETI

Summary

In the kingdom of Imereti there existed in late feudal times, a rural community which made the junior village communes constituting the lower unit in the administrative-territorial division of the kingdom. Each commune possessed its own icon and was united around the church of that icon.

The commune comprised the entire serf population. Members of a commune bore collective responsibility for some state and church taxes. They were obliged to look after the church and the roads of their commune. The village commune the status of a juridical person, took loans and owned communal land.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (მეც), საბუთი № 174.
2. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა. წ. I, თბილისი, 1958, 17.
3. ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I. თბილისი, 1971, 38—39.
4. ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I. თბილისი, 1921, 77.
5. მცმ, საბ. № 945.
6. მცმ, საბ. № 851.
7. მცმ, საბ. № № 1359, 1716, 1745.



ИСТОРИЯ ИСКУССТВ

Б. А. ГУЛИСАШВИЛИ

ИСТОРИЯ УЧЕНИЯ О ЛАДАХ ГРУЗИНСКОЙ НАРОДНОЙ МУЗЫКИ

(Представлено академиком В. В. Беридзе 30.5.1975)

Лады грузинской народной музыки стали изучаться лишь с прошлого века. До этого исследователи интересовались лишь церковной музыкой и лады рассматривались ими как церковные песнопения.

Грузинская народная музыка богата своей ладовой многообразностью. О ладах пишут исследователи грузинского музыкального фольклора.

М. М. Ипполитов-Иванов, сравнивая грузинские народные песни с иранскими, пишет, что «строение или формула гаммы персидских песен резко отличается от строения гаммы грузинских мелодий, основанных на главных церковных ладах, перешедших к ним из Греции, а именно: ионическом, дорийском, фригийском, миксолидийском и эолийском» ([1], стр. 137).

Лады эти действительно встречаются в грузинском народном музыкальном творчестве, но нельзя их считать, как это делает автор, перешедшими к нам из Греции.

Д. И. Аракишвили, рассматривая грузинские народные песни, пишет: «Говорить здесь о каких-либо древне-греческих или церковных ладах в песнях, особенно последнего периода, было бы странно, так как все здесь сводится к творчеству самого народа, как в создании музыки, так, разумеется, и технических основ, сообразно с общим прогрессом и культурой его» ([2], стр. 90—91).

Автор указывает: «В трехголосных песнях встречаются эолийский, миксолидийский, фригийский, дорийский и ионийский лады, но они получают особые черты, делающие их национальными грузинскими ладами» ([3], стр. 48).

Иногда автор говорит о ладе лишь в том случае, если звукоряд доведен до октавы. Вот что мы читаем у него: «В песне «На горе фиалке» — «Иа мтазеда», если мы добавим к звукоряду верхнее ми, то получим миксолидийский лад ми» ([4], стр. 25). Несмотря на отсутствие верхнего ми, автор мог бы назвать этот лад миксолидийским. Существуют лады и с меньшим количеством звуков.

Автор отмечает, что структура ладов грузинского народного музыкального творчества «строго диатонична» ([5], стр. 33).

А. Д. Кастальский, как об этом он сам пишет, избегает «греческих названий и средневековых обозначений ладов» ([6], стр. 119) и называет лады мажором или минором, указывая в случае надобности на характерную ступень лада. Приводя примеры из сборников грузинских народных песен, он пишет о наличии «мажора с малой септимой» ([6], стр. 319) и о смене «натурального минора на минор с малой секундой» ([6], стр. 279), а также о том, что встречается «минор с большой секстой» ([6], стр. 121). Иногда вместо малой септимы он говорит о пониженной VII ступени: «Кроме обычного натурального ма-

жора, в народной музыке в большом ходу мажор с пониженной VII ступенью» ([6], стр. 119).

Терминология эта неприемлема, и вообще нельзя считать миксолидийский лад мажором с пониженной VII ступенью, так как она является естественной, а не пониженной ступенью для миксолидийского лада.

Л. Донадзе, касаясь пшавской народной песни, отмечает, обнаруженный Ш. Мшвелидзе «крайне своеобразный звукоряд, который несколько приближается к фригийскому строю и представляет сам по себе уникальное явление» ([7], стр. 14—15).

Лад этот, называемый автором пшавским ладом, имеет признак фригийского лада (малая секунда на тонике) и дорийского (большая секста на тонике).

Автор пишет: «Пшавский строй имеет не только формальное значение. Своим строем колоритом и суровой грустью он определяет душу самой песни. Здесь сам строй создает художественную специфику песни» ([7], стр. 15).

Ш. Асланишвили, рассматривая акустическую сторону миксолидийского лада пишет: «В грузинской народной песне в основе мажорного лада, который условно называем миксолидийским, лежат первые обертоны трех натуральных звукорядов от тонике лада на большую секунду вниз и на малую терцию вниз» ([8], стр. 9).

Исходя из секундowego и терцового соотношений, автор указывает: «Естественным следствием этого соотношения, с одной стороны, является гармоническое тяготение между ступенями, которые находятся в секундowym соотношении и, с другой стороны, также терцовое тяготение между I и VI ступенями» ([8], стр. 10).

Автор отмечает наличие неполных ладов, указывая, что иногда «появляется неразвившийся лад» ([8], стр. 133), который «представлен в виде неполного звукоряда» ([8], стр. 27).

Рассматривая пшавские народные песни, автор пишет: «В анализируемых песнях фригийский лад не всегда представлен в одной и той же форме; он получает различные варианты этого лада. Постоянной непоколебимой интонацией вариантов этого лада является фригийская секунда (между второй и первой ступенями лада), вследствие чего лад всегда оставляет ее как свой первичный признак. Варианты создаются изменением терции и сексты: использована то малая (минорная), то большая (мажорная) терция, вследствие чего интервалика гаммообразного движения между квартой и тоникой изменяется и в определенных случаях создает увеличенную секунду, т. е. новую характерную, выразительную интонацию» ([9], стр. 44). И дальше: «Так же используется то малая, то большая секста. Использованием малой и большой терций и сексты фригийский лад обогащается новыми интонациями» ([9], стр. 44).

Наличие увеличенной секунды в вариантах фригийского лада позволяет автору считать этот интервал свойственным не только различным музыкальным культурам Востока, но и грузинскому музыкальному творчеству. Автор пишет: «Но то обстоятельство, что лады с увеличенной секундой использованы в такой «замкнутой» культуре, как пшавская и особенно хевсурская песня, позволяет нам доказывать, что лад с увеличенной секундой не чужд и грузинской народной песне» ([9], стр. 116).

Рассматривая комплексное движение параллельными трезвучиями, при котором звуки лада хроматически изменяются и каждое из трезвучий может стать тоникой, автор отмечает, что «объединение этих



движущихся по секундам тоник в единое построение создает лад особого вида, который мы называем диффузным ладом» ([10], стр. 176).

Автор предлагает называть лады грузинского народного музыкального творчества «старинными ладами» ([10], стр. 172), но лучше называть их средневековыми, так как они отличаются от древнегреческих, которые также являются старинными.

На основе ладовых анализов грузинского народного музыкального творчества нами были обнаружены: лидийский лад [11, 12], плагальные лады, имеющие квартовый остов [13—16] и нейтральные лады, включающие нейтральные интервалы [17—20].

А. Мшвелидзе, рассматривая грузинские народные городские песни, указывает на «гармонический минор и плагальный гармонический минор» ([21], стр. 27). Обращая внимание на увеличенную секунду, автор пишет: «В грузинских народных песнях восточной ветви увеличенная секунда встречается в небольшом количестве. Она используется в двух ладах: в гармоническом миноре и в плагальном гармоническом миноре» ([22], стр. 16).

А. Цулукидзе, рассматривая связь музыкального языка Шалвы Мшвелидзе с пшавским музыкальным фольклором, указывает на «весьма самобытный лад пшавской одноголосной песни, который сам Ш. Мшвелидзе назвал «пшавским ладом» (фригийский лад с повышенной шестой ступенью)» ([23], стр. 6).

Неправильно считать VI ступень этого лада повышенной. Ее можно назвать высокой, но не повышенной.

М. Шилакадзе, рассматривая инструментальные пьесы для грузинской многоствольной флейты, пишет: «Для пьес на многоствольном саламури (ларчеми и соннари) характерным является лад, построенный на звукоряде тон-полутон» ([24], стр. 85).

М. Жордания, рассматривая кахетинскую народную песню «Гарекахури сачидао», пишет, что в ней встречаются «три лада, на которые в специальной литературе до сих пор не было указано. Это миксолидийский лад с малой (низкой) секстой (a, h, cis, d, e, f, g, a); локрийский лад (a, b, c, d, es, f, g, a) и, наконец, особый вид уменьшенного лада (a, b, c, des, es, f, g, a), т. е. лад, который включает малую терцию (с этим признаком минорный), малую секунду, уменьшенную кварту и уменьшенную квинту» ([25], стр. 53).

Относительно особого вида уменьшенного лада автор отмечает, что «все ступени указанного лада низкие и лад имеет максимальную «минорную степень». Поэтому желательно будет назвать его немного в современном стиле — «суперминорный лад» ([25], стр. 54).

Е. Чохонелидзе пишет о ладах, звукоряд которых выходит за пределы октавы: «В это время часто имеем дело с новым явлением: нарушен принцип удвоения тонов на чистую октаву. Между децимовым звуком и его одноименным терцовым звуком возникает уменьшенная октава. Такой звукоряд мы называем расширенным» ([26], стр. 141).

Такова вкратце история учения о ладах грузинского народного музыкального творчества. Мы остановились лишь на тех исследователях, которые внесли что-то новое в учение о ладах.

Тбилисская государственная консерватория
им. В. Сараджишвили

(Поступило 6.6.1975)

ბ. ბულიშავილი

ქართული ხალხური მუსიკის კილოების შესწავლის ისტორია

რეზიუმე

ქართული ხალხური მუსიკის კილოების შესწავლა იწყება მხოლოდ წარსული საუკუნიდან. ახალი შემოიტანეს ამ სწავლებაში მ. იპოლიტოვმა-ივანოვმა, დ. არაკიშვილმა, ა. კასტალსკიმ, შ. ასლანიშვილმა, ა. მშველიძემ, მ. შილაკაძემ, მ. ჟორდანიამ, ე. ჭოხონელიძემ და ამ სტრიქონების ავტორმა.

HISTORY OF ART

B. A. GULISASHVILI

HISTORY OF THE STUDY OF THE MODES OF GEORGIAN FOLK MUSIC

Summary

The study of modes in Georgian folk music began only in the last century. New material in the study of modes was introduced by M. Ippolitov-Ivanov, D. Arakishvili, A. Kastalski, Sh. Aslanishvili, A. Mshvelidze, M. Shilakadze, M. Zhordania, E. Chokhonelidze and the author of the present article.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. М. М. Ипполитов-Иванов. Ж. «Артист», № 45, 1895.
2. Д. И. Аракчиев. Народная песня Западной Грузии. М., 1908.
3. Д. И. Аракишвили. Ж. «Советская музыка», № 5, 1950.
4. Д. И. Аракишвили. Обзор народной песни Восточной Грузии. Тбилиси, 1948.
5. დ. არაკიშვილი. სვანური ხალხური სიმღერები. თბილისი, 1950.
6. А. Д. Кастальский. Основы народного многоголосия. М.—Л., 1948.
7. ლ. დონაძე. შალვა მშველიძე. თბილისი, 1946.
8. შ. ასლანიშვილი. ქართლ-კახური ხალხური საუნდო სიმღერების ჰარმონია. თბილისი, 1970.
9. შ. ასლანიშვილი. ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, 2. თბილისი, 1956.
10. შ. ასლანიშვილი. ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, 1. თბილისი, 1954.
11. Б. А. Гулишавили. Сообщения АН ГССР, 17, № 4, 1956.
12. Б. А. Гулишавили. Сообщения АН ГССР, 66, № 3, 1972.
13. Б. А. Гулишавили. Сообщения АН ГССР, 52, № 1, 1968.
14. Б. А. Гулишавили. Сообщения АН ГССР, 57, № 1, 1970.
15. Б. А. Гулишавили. Сообщения АН ГССР, 58, № 3, 1970.
16. Б. А. Гулишавили. Сообщения АН ГССР, 60, № 3, 1970.
17. Б. А. Гулишавили. Сообщения АН ГССР, 76, № 2, 1974.
18. Б. А. Гулишавили. Сообщения АН ГССР, 77, № 1, 1975.
19. Б. А. Гулишавили. Сообщения АН ГССР, 78, № 1, 1975.
20. Б. А. Гулишавили. Сообщения АН ГССР, 79, № 1, 1975.
21. ა. მშველიძე. ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 7, 1957.
22. ა. მშველიძე. ქართული ხალხური სიმღერები. თბილისი, 1970.
23. ა. წულუკიძე. შალვა მშველიძე. თბილისი, 1964.
24. მ. შილაკაძე. ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა. თბილისი, 1970.
25. მ. ჟორდანიამ. ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 8, 1971.
26. ე. ჭოხონელიძე. კრ. „სრამების კრებული“. თბილისი, 1973.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში В АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკადემიის პრეზიდიუმში В ПРЕЗИДИУМЕ АКАДЕМИИ

აკადემიის პრეზიდიუმმა თავის ღია სხდომებზე მოისმინა სამეცნიერო მოხსენებები:

„პლაზმა ლაბორატორიასა და კოსმოსში“ (მოხსენებელი — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ლომინაძე),

„მოსამზადებელი კლასის პრობლემა (დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილების მიერ შესრულებული გამოკვლევების მიხედვით)“ (მომხს. — ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი შ. ჩხარტიშვილი),

„ბირთვულ-ციტოპლაზმურ და უჯრედშორის ურთიერთქმედებათა მნიშვნელობა ზრდისა და დიფერენცირების კონტროლისათვის უჯრედულ პოპულაციებში“ (მომხს. — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. თუმანიშვილი).

Президиум Академии наук Грузинской ССР на открытых заседаниях заслушал научные доклады:

«Плазма в лаборатории и в космосе» (докладчик — кандидат физико-математических наук Д. Г. Ломинадзе),

«Программа подготовительного класса (по исследованиям, выполненным отделением педагогической психологии Института психологии им. Д. Узнадзе)» (докладчик — доктор психологических наук Ш. Н. Чхартишвили,

«Значение ядерно-цитоплазматических и межклеточных взаимоотношений для контроля роста и дифференциации в клеточных популяциях» (докладчик — доктор биологических наук Г. Д. Туманишвили).

პრეზიდიუმმა მოისმინა აკად. ვ. კოლოშვილის ინფორმაცია ქ. მოსკოვში ჩატარებული უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის VI კონგრესის შესახებ.

Президиум заслушал информацию акад. Г. С. Чогошвили о VI конгрессе международной ассоциации университетов, проведенном в Москве.

პრეზიდიუმმა მოისმინა აკად. ნ. ლანდიას ინფორმაცია სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებისათვის სამზადისის თაობაზე და მოიწონა ამ ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის აკადემიის სამეცნიერო განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი ღონისძიებანი.

Президиум заслушал информацию акад. Н. А. Ландия о подготовке к XXV съезду КПСС и XXV съезду КП Грузии и одобрил мероприятия, предложенные научными отделениями Академии с целью достойной встречи этих съездов.

პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან შეიქმნეს ბასკური ენის მოყვარულთა საზოგადოება და დაავალა ენისა და ლიტერატურის განყოფილებას ჩაატაროს საზოგადოების შექმნასთან დაკავშირებული საორგანიზაციო ღონისძიებანი.

Президиум постановил создать при отделении языка и литературы Академии Общество любителей баскского языка и поручил отделению провести организационные мероприятия в связи с созданием общества.

პრეზიდიუმმა განიხილა და დაამტკიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების მეთოდური რეკომენდაციები.

Президиум рассмотрел и утвердил методические рекомендации по подведению итогов социалистического соревнования в научных учреждениях АН Грузинской ССР.

პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა სოციალისტური ვალდებულებების შესრულების 1975 წლის 9 თვის ანგარიში. მოხსენება გააკეთა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ე. ხარაძემ. პრეზიდიუმმა გამოთქვა რწმენა, რომ აკადემიის ყველა სამეცნიერო დაწესებულების, საკონსტრუქტორო ბიუროს, სამშენებლო და საწარმოო ორგანიზაციათა კოლექტივები ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდებიან სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობებს და ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასმულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში.

Президиум заслушал отчет о выполнении социалистических обязательств учреждениями АН ГССР за девять месяцев 1975 г. Докладывал вице-президент Академии Е. К. Харадзе.

Президиум выразил уверенность, что коллективы всех научных учреждений Академии, конструкторского бюро, строительных и производственных организаций встретят XXV съезд КПСС и XXV съезд КП Грузии новыми достижениями и внесут свой вклад в успешное решение задач, поставленных XXIV съездом КПСС.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი საბჭო. პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოს შემადგენლობა. საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს არჩილ ძიძიგურს.

При Президиуме АН Грузинской ССР создан совет по изучению производственных сил и естественных ресурсов. Утвержден состав совета. Выполнение обязанностей председателя возложено на академика АН ГССР Арчила Амбросиевича Дзидзигури.

აკადემიის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე მოისმინა აკად. ს. ღურმიშიძის და აკად. წევრ-კორ. მ. რჩეულიშვილის მოხსენება „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის შედეგები და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ამოცანები“. მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს ი. ვეკუაშ, ჰ. გუგუშვილმა, ნ. კეცხოველმა, მ. რჩეულიშვილმა, პ. ქლენტმა, მ. გოგორიშვილმა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ერთსულოვნად მიიწონა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1975 წლის 13 სექტემბრის პლენუმის დადგენილება „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაში პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვე-

შეკრებილთ მიესალმა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ხაბეიშვილი.

პლენარულ და სექციების სხდომებზე მოისმინეს თანამედროვე მათემატიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებაში — ფინებისა და გარსების თეორიაში — საბჭოთა მეცნიერთა კვლევის შედეგებისადმი მიძღვნილი ორასამდე მოხსენება.

დასკვნით პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. ი. ვეკუა, საორგანიზაციო კომიტეტის სწავლული მდივანი პროფ. ვ. ჩერნიშევი და სხვა თვალსაჩინო მეცნიერნი. მათ ნახვასით აღნიშნეს, რომ ქვეყნის მათემატიკოსთა ქუთაისის შეხვედრა დიდ როლს შეასრულებს ფინებისა და გარსების თეორიის დარგში კვლევის შემდგომ განვითარებაში.

კონფერენციამ დასახა უახლოესი წლებისათვის ფინებისა და გარსების თეორიის დარგში კვლევის შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებანი.

23—27 сентября в г. Кутаиси работала X Всесоюзная конференция математиков, созванная Академией наук СССР, Академией наук Грузинской ССР, Министерством высшего и среднего специального образования республики, Институтом проблем механики АН СССР и Кутаисским политехническим институтом.

В работе конференции приняло участие свыше пятисот ученых и специалистов — представителей университетов и других высших учебных заведений, научно-исследовательских институтов, организаций и учреждений из всех союзных республик, Москвы и Ленинграда.

Работу конференции открыл вступительным словом председатель ее организационного комитета, президент АН Грузинской ССР, акад. И. Н. Векуа. С приветствием от имени ЦК КП Грузии, Президиума Верховного Совета Грузинской ССР и Совета Министров Грузинской ССР выступил заведующий отделом науки и учебных заведений ЦК КП Грузии Э. Сехниашвили. От имени общественности Кутаиси собравшихся приветствовал первый секретарь Кутаисского горкома партии С. Хабишвили.

На пленарных и секционных заседаниях было заслушано около двухсот докладов, посвященных итогам исследований советских ученых в одном из важнейших направлений современной математики — теории пластин и оболочек.

На последнем пленарном заседании выступили президент АН Грузии акад. И. Н. Векуа, ученый секретарь оргкомитета, проф. Г. Чернышев и другие видные ученые. Они подчеркнули, что кутаисская встреча математиков страны сыграет важную роль в дальнейшем развитии исследований в области теории пластин и оболочек.

Конференция наметила основные направления дальнейшего развития исследований в области теории пластин и оболочек на ближайшие годы.

24—25 სექტემბერს ქ. თბილისში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული გეოგნოლოგიისა და გერიატრიის სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს, საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის გეოგნოლოგიის განყოფილების ინიციატივით ჩატარდა პირველი რესპუბლიკური კონფერენცია თემაზე „გეოგნოლოგიისა და გერიატრიის აქტუალური საკითხები“. კონფერენციამ გააანალიზა დაბერების პროცესის ბიოლოგიის, გერიატრიის და სოციალური გეოგნოლოგიის დარგში არსებული მიღწევები და დასახა რესპუბლიკაში ამ მეცნიერების შემდგომი განვითარების გზები.

24—25 сентября по инициативе Научно-координационного совета по геронтологии и гериатрии при Президиуме АН ГССР, Ученого совета МЗ ГССР и отдела геронтологии Института экспериментальной морфологии им. А. Н. Натишвили АН ГССР в Тбилиси была проведена Первая республиканская конференция «Актуальные вопросы геронтологии и гериатрии». Конференция проанализировала достижения в области биологии процесса старения, гериатрии и социальной геронтологии и наметила пути дальнейшего развития этой науки в республике.

28 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექტო დარბაზში გაიმართა საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა თანამედროვეობის გამოჩენილი ფიზიოლოგის, ქართული ფიზიოლოგიის სკოლის ფუძემდებლის, სოციალისტური შრომის გმირის, აკადემიკოს ივანე სოლომონის ძე ბერიტაშვილის დაბადების 90 წლისთავს.

სხდომაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი საბჭოთა და უცხოელი ფიზიოლოგები, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. ი. ვეკუაძემ.

მოსხენება ივანე ბერიტაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის პრობლემების განყოფილების თავმჯდომარემ აკად. ვ. ოკუჯავამ. მოსმენილ იქნა აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფ. დ. ჩხიკვიშვილის მოხსენება „ი. ბერიტაშვილი და უნივერსიტეტი“.

გამოჩენილ ფიზიოლოგთან შეხვედრებისა და ერთობლივი მუშაობის შესახებ საიუბილეო სხდომის მონაწილეებს მოგონებები გაუზიარეს მისმა კოლეგებმა და მოწაფეებმა — აკადემიკოსებმა ე. კრეჰსმა, ვ. ჩერნიგოვსკიმ, პ. კოსტიუკმა, მ. ლივანოვმა, საქართველოს მეცნ. აკად. აკადემიკოსმა პ. ქომე-თანმა, სსრკ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტმა ა. როიტბაკმა, უკრაინის სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტმა ფ. სერკოვმა, პროფესორებმა ნ. ძიძიშვილმა, ა. კოვანმა, ო. აღრიანოვმა.

სხდომის მონაწილეებს უჩვენეს საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის დოკუმენტური კინოსურათი „ივანე ბერიტაშვილი“.

საიუბილეო სხდომაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ.

28 сентября в актовом зале Тбилисского государственного университета состоялось юбилейное заседание, посвященное 90-летию со дня рождения выдающегося советского физиолога, основоположника грузинской физиологической школы, Героя Социалистического Труда, академика Ивана Соломоновича Бериташвили.

В заседании приняли участие ведущие советские и зарубежные физиологи, представители широкой общественности.

Заседание открыл вступительным словом президент Академии наук Грузинской ССР акад. И. Н. Векуа.

С докладом о жизни и деятельности акад. И. С. Бериташвили выступил председатель Отделения медицинских проблем АН Грузии акад. В. М. Окуджава. Был заслушан также доклад ректора Тбилисского государственного университета проф. Д. И. Чхиквишвили «И. С. Бериташвили и Тбилисский университет».

Воспоминаниями о встречах и совместной работе с выдающимся физиологом поделились с участниками юбилейного заседания его коллеги и ученики академики Е. М. Крепс, В. Н. Черниговский, П. Г. Костюк, М. Н. Ливанов, акад. АН Грузинской ССР П. А. Кометиани, чл.-корр. АН СССР А. И. Ройтбак, чл.-корр. АН Украинской ССР Ф. Н. Серков, профессора Н. Н. Дзидишвили, А. Б. Коган, О. С. Адрианов.

Участникам заседания был показан документальный фильм «И. С. Бериташвили» производства Грузинской киностудии научно-популярных и документальных фильмов.

В юбилейном заседании приняла участие секретарь ЦК КП Грузии В. М. Сирадзе.

29 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე თბილისში მიმდინარეობდა სსრ კავშირის ფიზიოლოგთა XII ყრილობა.

ყრილობა მოამზადეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიურმა საზოგადოებამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოებამ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა.

ყრილობის მიზანი იყო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სსრ კავშირში ჩატარებული ფიზიოლოგიური კვლევის მუშაობის შედეგების შეჯამება და მომავალი კვლევის პერსპექტივების დასახვა.

ფიზიოლოგთა XII საკავშირო ყრილობა საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში. ყრილობა გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ბაკურაძემ. ყრილობის მონაწილეებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელით მიესალმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ახ. ო. ჩერქეზია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით ყრილობას მუშაობაში წარმატება უსურვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ე. ხარაძემ.

ყრილობაზე ჩატარდა 64 სიმპოზიუმი და 40 სექციური სხდომა, რომლებზეც მოსმენილ და ვანხილულ იქნა უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და ნეიროფიზიოლოგიის, საკმლის მონელებისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის, კოსმოსური და წყალქვეშა ფიზიოლოგიის, სპორტული ფიზიოლოგიისა და კუნთოვანი სისტემის, სისხლისა და სუნთქვის ორგანოების, ენდოკრინული სისტემის და ნეოთიერებათა ცვლის, კლინიკური ნეიროფიზიოლოგიისა და შრომის ფიზიოლოგიის, ვეგეტატიური ნერვული სისტემისა და თერმორეგულაციის, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ფიზიოლოგიის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხებისადმი მიძღვნილი 688 მოხსენება.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 1500-მდე დელეგატმა და სტუმარმა სსრ კავშირის 92 ქალაქიდან და უცხოელმა მეცნიერებმა ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, გერმანიიდან და ინგლისიდან.

საგანგებო სხდომები მიეძღვნა აკადემიკოსების: ი. ბერიტაშვილის, პ. ანოხინის, ვ. პარინის და ე. ბაბსკის ხსოვნას. ერთ-ერთ სხდომაზე ნაჩვენები და ვანხილული იქნა ექვსი მეცნიერული ფილმი.

ქართველი ფიზიოლოგების მიერ სიმპოზიუმებზე და სექციურ სხდომებზე წარდგენილ იქნა 46 მოხსენება, რომლებმაც სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. ყრილობამ ხელი შეუწყო მეცნიერული კონტაქტების დამყარებას სსრ კავშირის ფიზიოლოგიურ ცენტრებს შორის და რიგ საზღვარგარეთის მეცნიერებთან.

ყრილობის დასკვნით სხდომაზე არჩეულ იქნა ი. პავლოვის სახელობის საკავშირო ფიზიოლოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭო და სარევიზიო კომისია, რომლის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა რვა ქართველი მეცნიერი.

С 29 сентября по 4 октября в Тбилиси проводился XII съезд физиологов СССР.

В подготовке съезда приняли участие Всесоюзное общество физиологов им. И. П. Павлова при АН СССР и АН Грузинской ССР, Ин-



ститут физиологии АН Грузинской ССР и Общество физиологов Грузии.

Съезд был созван с целью подвести итоги исследований, проведенных в Советском Союзе за последние 5 лет, и наметить перспективы дальнейших научных изысканий.

В Большом зале Грузинской государственной филармонии состоялось торжественное открытие XII съезда физиологов СССР. Его открыл председатель организационного комитета чл.-корр. АН Грузинской ССР А. Н. Бакурадзе. От имени ЦК КП Грузии, Президиума Верховного Совета и Совета Министров Грузинской ССР участников съезда приветствовал заместитель председателя Совета Министров тов. О. Е. Черкезия. Успехов в работе съезда от имени АН СССР пожелал вице-президент АН СССР акад. Е. К. Харадзе.

За дни съезда было проведено 64 симпозиальных и 40 секционных заседаний, на которых были заслушаны и рассмотрены 688 докладов по таким актуальным вопросам, как деятельность высшей нервной системы, физиология пищеварения и сердечно-сосудистой системы, космическая и подводная физиология, спортивная физиология и физиология мышечной системы органов крови и обмена веществ, клиническая нейрофизиология и физиология труда, вегетативная нервная система и терморегуляция, физиология сельскохозяйственных животных и др.

В работе съезда приняли участие 1500 делегатов и гостей из 92 городов Советского Союза, а также зарубежные гости из Болгарии, Польши, Чехословакии, Венгрии, ГДР, ФРГ, Англии.

Специальные заседания были посвящены памяти академиков И. С. Бериташвили, П. Анохина, В. Парина и Е. Бабского. На одном из заседаний были показаны и обсуждены шесть научных фильмов.

На симпозиальных и секционных заседаниях грузинскими физиологами были представлены 46 докладов.

Съезд способствовал укреплению контактов между физиологическими центрами Советского Союза и ряда зарубежных стран.

На заключительном заседании съезда был избран центральный совет и ревизионная комиссия Всесоюзного общества физиологов им. И. П. Павлова, в состав которых вошли восемь грузинских ученых.

2 ოქტომბერს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში მოეწყო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი გამოჩენილი სომეხი პოეტის ავეტიკ ისააკიანის დაბადების 100 წლისთავისადმი.

